



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92221592

თარიღი:08/06/2022

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით ა(ა)ი პირის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპრორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრისთვის“ არსებობის ვადით ფართის გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „დ.დ“ , 122-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტის, "მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669-ე დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 03 ივნისის Nგ-93.93221542 განკარგულების შესაბამისად

ბრძანებ:

მუხლი1.გადაეცეს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ლელიანში მდებარე -930 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობა, რომლის განაშენიანების ფართობი-495.30 კვ.მ (საკ.კოდი:N54.14.52.021) ა(ა)ი პირის „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპრორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრს“ (ს/კ:N433105702) არსებობის ვადით.

/საფუძველი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მ/შემსრულებლის ა/წლის 07 ივნისის N06-92221583 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი2.ამ ბრძანების ფარგლებში, ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმის მომზადება დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება და მასზე კონტროლის განხორციელება - „ეკონომიკის სამსახურს“;

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი4.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



